კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების
შესყიდვის განცხადება

წინამდებარე საკონკურსო განცხადება შედგენილია ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონისა და ,,კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანების საფუძველზე

ქ. ქუთაისი

2014 წელი

სარჩევი

1. საკონკურსო განცხადება ——————————————————— 3

2. ტექნიკური დავალება ——————————————————— 5

3. ხელშეკრულების პროექტი ——————————————————— 8

განცხადება კონკურსის ჩატარების შესახებ

1. თვითმმართველი ქალაქის - ქუთაისის მერია (მის 4600, ქ.ქუთაისი, რუსთაველის გამზ. №3, ს/კ 212721170 ტელ: 24-10-24) აცხადებს კონკურს საპროექტო დოკუმენტაციის შესყიდვის მიზნით და იწვევს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. კონკურსის მიზანია ქალაქ ქუთაისში ბუხაიძის ქუჩაზე №6 სახლის წინ (საკ/კოდი 03.01.22.166), რუსთაველის გამზირის №№118, 120, 122 ბინების წინ (საკ/კოდი 03.04.21.055) და ზ. გამსახურდიას ქუჩის №№1, 3, 5 ბინების წინ (საკ/კოდი 03.04.22.047) მდებარე სკვერების ინფრასტრუქტურის მოწესრიგებისათვის საჭირო საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა.

3. შესყიდვის სავარაუდო ღირებულება შეადგენს 1200 (ერთი ათას ორასი) ლარს – დღგ–ს ჩათვლით.

4. დაფინანსების წყარო: 2014 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის ასიგნებები.

5. კონკურსში მონაწილეობის საფასური

5.1 კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საკონკურსო წინადადების წარდგენისათვის პირი იხდის საფასურს 50 (ორმოცდაათი) ლარი. საფასური გადაიხდება სააგენტოს ანგარიშზე რომელიც მითითებულია სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე (www.procurement.gov.ge).

5.2 საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული უნდა იყოს:

ა) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის უნიკალური ნომერი და გადახდის თარიღი;

ბ) შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;

გ) კონკურსანტის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;

დ) საკონკურსო განცხადების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების შედეგად განცახდებისათვის მინიჭებული უნიკალური ნომერი.

ამ მუხლის 5.2 პუნქტით გათვალისწინებული მონაცემების დარღვევით გაცემული დოკუმენტის წარმოდგენის შემთხვევაში პირის საკონკურსო წინადადება ექვემდებარება დისკვალიფიკაციას.

საკონკურსო წინადადება, რომელიც არ შეიცავს საფასურის გადახდის დამადასტურებელ შესაბამის დოკუმენტს, არ განიხილება.

6. კონკურსი ჩატარდება 2014 წლის 1 აგვისტოს 12:00 საათზე.

7. საკონკურსო წინადადებით წარმოდგენილი ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე და ხელმოწერილი უნდა იყოს შესაბამისად უფლებამოსილი პირის მიერ.

შენიშვნა: დოკუმენტის ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარმოდგენის შემთხვევაში, მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი. აღნიშნულ შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ქართულ თარგმანს.

8. საკონკურსო წინადადება დალუქული პაკეტით წარმოდგენილი უნდა იყოს 2 ეგზემპლარად (დედანი და ასლი) 2014 წლის 1 აგვისტოს 10:00 საათიდან 12:00 საათამდე შემდეგ მისამართზე: 4600, ქ. ქუთაისი, რუსთაველის გამზირი №3, ქ. ქუთაისის მერიის სახელმწიფო შესყიდვების სამსახური (მე-3 სართული, ოთახი №323).

9. საკონკურსო წინადადება ხელმოწერილი უნდა იქნას კონკურსის მონაწილის მიერ, ხელმოუწერელი წინადადება არ განიხილება.

10. დაგვიანებით წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება (მათ შორის საკონკურსო წინადადების წარდგენისათვის საფასურის ქვითრის გარეშე), არ განიხილება და გაუხსნელად დაუბრუნდება უკან კონკურსანტს.

11. საკონკურსო წინადადება მოქმედებს კონკურსში გამარჯვებულ კონკურსანტთან ხელშეკრულების დადებამდე.

12. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარებში, საკონკურსო განცხადებისა და საკონკურსო დოკუმენტაციით გათვალისწინებული მომსახურების სრულად გაწევის შემდეგ, მიღება–ჩაბარების აქტის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 20 (ოცი) სამუშაო დღის განმავლობაში.

13. კონკურსანტმა საკონკურსო დოკუმენტაციის სახით უნდა წარმოადგინოს:

13.1 საკონკურსო წინადადების ფასი (დღგ–ს ჩათვლით), წინადადების ფასი წარმოდგენილი უნდა იყოს მხოლოდ ლარებში.
13.2 ტექნიკური დავალების შესაბამისად შედგენილი დიზაინის (სიტუაციური გეგმა, ტერიტორიის კეთილმოწყობის არქიტექტურულ გადაწყვეტა, სივრცით დაგეგმარება, პლანიმეტრია, იზომეტრია) ესკიზები. გამარჯვებულმა კომკურსანტმა კი სახელშეკრულებო ვადაში უნდა წარმოადგინოს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია არქიტექტურული პროექტის ძირითადი მოთხოვნების შესაბამისად.
13.3 ინფორმაცია კონკურსანტის მიერ განხორციელებული საპროექტო მომსახურების შესახებ (შესრულებული საპროექტო მომსახურების მიმდინარე წლის (დასრულებული ხელშეკრულებები) და ბოლო 3 (სამი) წლის (2011, 2012, 2013 წ.წ.) განმავლობაში არ უნდა იყოს საკონკურსო თანხის 150%-ზე ნაკლები) დანართი №1-ის მიხედვით და დამადასტურებელი დოკუმენტები (მიღება-ჩაბარების აქტები).
13.4 ინფორმაცია მომსახურების მიწოდების ვადის შესახებ.
13.5 რეკვიზიტები.

14. კონკურსანტს უფლება აქვს წარმოადგინოს მხოლოდ ერთი საკონკურსო წინადადება. ალტერნატიული წინადადება არ განიხილება.
15. საკონკურსო წინადადება რომლის ფასი აღემატება შესყიდვის სავარაუდო ღირებულებას 1200 (ერთი ათას ორასი) ლარს არ განიხილება.
16. საკონკურსი წინადადების შეფასება და გამარჯვებული კონკურსანტის გამოვლენა:

- საკონკურსო წინადადების ფასი: კოეფიციენტი – 0,4.
- გამოცდილება: კოეფიციენტი – 0,3.
- მომსახურეობის მიწოდების ვადა: კოეფიციენტი – 0,3.
- შეფასება განხორციელდება 10 ქულიანი სისტემით.
- კონკურსანტი გამარჯვებულად ჩაითვლება, თუ მას საკონკურსო კომისიის წევრთა მიერ მიენიჭება ყველაზე მაღალი ჯამური ქულა. ქულათ თანაბრად განაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მიერ მინიჭებული ქულა.

17. გამარჯვებულმა კონკურსანტმა უნდა უზრუნველყოს ხელშეკრულების დადებიდან 20 (ოცი) კალენდარული დღის განმავლობაში საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცის წარმოდგენა.
18. საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს 4 (ოთხი) ეგზემპლარად ფერად ტონებში, რომლებსაც თან უნდა დაერთოს ელექტრონული ვერსია. ამასთან კონკურსანტმა დამატებით უნდა წარმოადგინოს საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია PDF ფორმატში, რომლის ერთი ფაილის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 8 მგბ–ს.
19. საკონკურსო კომისიას უფლება აქვს ხელშეკრულების დადებამდე ნებისმიერ დროს შეწყვიტოს შესყიდვის პროცედურა, თუ ეს აუცილებელი გახდება მისგან დამოუკიდებელი და წინასწარ გაუთვალისწინებელი ობიექტური მიზეზებით, აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებული არ არის, კონკურსანტს აუნაზღაუროს შესყიდვაში მონაწილეობასთან დაკავშირებული ხარჯები.
20. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ საკონკურსო კომისიაში, საკონტაქტო პირი ზურაბ გაბიძაშვილი, მისამართზე: ქ. ქუთაისი, რუსთაველის გამზ.№3, მე-3 სართ. ოთახი №323; ტელ 24-74-73; ქ. ქუთაისის მერიის სახელმწიფო შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახური.

ტექნიკური დავალება

შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს:

ქალაქ ქუთაისში ბუხაიძის ქუჩაზე №6 სახლის წინ (საკ/კოდი 03.01.22.166), რუსთაველის გამზირის №№118, 120, 122 ბინების წინ (საკ/კოდი 03.04.21.055) და ზ. გამსახურდიას ქუჩის №№1, 3, 5 ბინების წინ (საკ/კოდი 03.04.22.047) მდებარე სკვერების ინფრასტრუქტურის მოწესრიგებისათვის საჭირო საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა

დასაპროექტებელი ობიექტების

ფასების ცხრილი

№	დასახელება	სავარაუდო ზომა	საკადასტრო კოდი	ღირებულება (ლარი)
1	**ქალაქ ქუთაისი ბუხაიძის ქუჩა №6 სახლის წინ**	346 კვ.მ.	**03.01.22.166**	
2	**ქალაქ ქუთაისი რუსთაველის გამზირის №№118, 120, 122-ის სამხრეთით**	2852 კვ.მ.	**03.04.21.055**	
3	**ქალაქ ქუთაისი ზ. გამსახურდიას ქუჩის №№1, 3, 5 ბინების წინ**	2242 კვ.მ.	**03.04.22.047**	
	ჯამი			

შენიშვნა: ზომები სავარაუდოა და დაზუსტდეს საპროექტო ორგანიზაციის მიერ.

დავალება დასაპროექტებელ ობიექტებზე

ობიექტის განთავსების ადგილი	ქ.ქუთაისი ბუხაიძის ქუჩა №6-ის წინ ქ. ქუთაისი რუსთაველის გამზირი №№118, 120, 120-ის სამხრეთით ქ. ქუთაისი ზ. გამსახურდიას ქუჩა №№1, 3, 5-ის წინ
ძირითადი მოთხოვნები სკვერისა და ბილიკების აღსადგენად	სავალი ნაწილის და ბილიკების კაპიტალური შეკეთება, სკვერისა და სავალი ნაწილის პროფილის გასწორება შემასწორებელი ფენით საჭიროების შემთხვევაში, საჭიროების შემთხვევაში სავალი ნაწილის ძველი საფარის აღება. სავალი ნაწილისა და ბილიკების საფარის სამოსის შერჩევა დანიშნულებიდან გამომდინარე.
გეოფლორისტული ნაკვეთები.	გათვალისწინებული იქნას გეოფლორისტული ნაკვეთების აღდგენა და განახლება მათი მდებარეობის შესაბამისად.
სხვა დამატებითი პირობები	საჭიროების შემთხვევაში პროექტი შეთანხმდეს მიწისქვეშა საინჟინრო კომუნიკაციების (წყალკანალი, ენერგო პრო, კავშირგაბმულობისა და გაზის) შესაბამის სამსახურებთან.
მშენებლობის ღირებულების განსაზღვრა	მშენებლობის ღირებულება გაანგარიშებული იქნას მოქმედი სამშენებლო ნორმების შესაბამისად.
მშენებლობის ორგანიზაციის პროექტის დამუშავება	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის №1-1/251 ბრძანების შესაბამისად.
საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია	დოკუმენტაცია შესრულდეს ოთხ ეგზემპლარად ფერად ტონებში, ელექტრონული ვერსია მოწოდებული იქნას ოთხ ეგზემპლარად და გადაიგზავნოს ელექტრონულ ფოსტაზე kutaisisinfrastruktura@gmail.com

გამარჯვებული ორგანიზაცია ვალდებულია საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა განახორციელოს ხელშეკრულების დადებიდან 20 (ოცი) კალენდარულ დღეში.

იმ შემთხვევაში, თუ სამუშაოების შესრულების პროცესში აღმოჩნდება საპროექტო–სახარჯთარღიცხვო დოკუმენტაციით გათვალისწინებული დამატებითი სამუშაოების შესრულების აუცილებლობა, ამ დამატებით საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენას მიმწოდებელი განახორციელებს ანაზღაურების გარეშე.

პროექტირების პერიოდში საპროექტო დავალებით გაუთვალისწინებელი სამუშაოების დაპროექტების საკითხი ზეპირი სახით შეთანხმდება შემსყიდველთან.

ხელშეკრულების პროექტი

ქ. ქუთაისი ——— 2014 წელი

ერთის მხრივ, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია, (შემდგომში „შემსყიდველი“) _____ (მისამართი: 4600, ქ.ქუთაისი, შ. რუსთაველის გამზ. №3, ტელ: 24-10-24).

მეორეს მხრივ, ————, (შემდგომში „მიმწოდებელი“) მისი დირექტორის ———— ———— სახით, დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 “ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ” (შემდგომ _ “ხელშეკრულება”) _ შემსყიდველ ორგანიზაციასა და კონკურსში გამარჯვებულ კონკურსანტს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 “ხელშეკრულების ღირებულება” ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3 “შემსყიდველი ორგანიზაცია” (შემდგომ “შემსყიდველი”) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4 “მიმწოდებელი” ნიშნავს პირს, რომელმაც მოიპოვა გამარჯვება კონკურსში და ახორციელებს მომსახურებას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5 “დღე”, “კვირა”, “თვე” ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს;

1.6 ,,მომსახურება" – ხელშეკრულების მე–2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი;

1.7 ,,ტექნიკური დოკუმენტაცია" – მიმწოდებლის მიერ (საკონკურსო განაცხადი №...) საკონკურსო წინადადებით წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაცია, რომელიც ერთვის ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 ქალაქ ქუთაისში ბუხაიძის ქუჩაზე №6 სახლის წინ (საკ/კოდი 03.01.22.166), რუსთაველის გამზირის №№118, 120, 122 ბინების წინ (საკ/კოდი 03.04.21.055) და ზ. გამსახურდიას ქუჩის №№1, 3, 5 ბინების წინ (საკ/კოდი 03.04.22.047) მდებარე სკვერების ინფრასტრუქტურის მოწესრიგებისათვის საჭირო საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა.

2.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების აღწერა მოცემულია ტექნიკურ დოკუმენტაციაში.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 შესასრულებელი მომსახურების ჯამური ღირებულება შეადგენს ———————— ლარს;

3.2 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს, მათ შორის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადს.

4. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

4.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულების კონტროლი განახორციელდება თვითმმართველი ქალაქ ქუთაისის მერიის შესაბამისი უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულის მიერ;

4.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი, კონტროლის ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებითა და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი;

4.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად

გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

5. მომსახურების გაწევის პირობები და ვადები

5.1 „მიმწოდებელი ვალდებულია მომსახურების გაწევა განახორციელოს ხელშეკრულების დადებიდან 20 (ოცი) კალენდარული დღის განმავლობაში.

5.2 „მიმწოდებელი“ ვალდებულია საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია წარმოადგინოს 4 (ოთხი) ეგზემპლარად ფერად ტონებში, რომლებსაც თან უნდა დაერთოს ელექტრონული ვერსია. ამასთან კონკურსანტმა დამატებით უნდა წარმოადგინოს საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია PDF ფორმატში, რომლის ერთი ფაილის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 8 მგბ–ს.

5.3 ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება შეიტანოს მომსახურების პირობებში ცვლილებები მეორე მხარესთან შეთანხმების გარეშე.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 მიმწოდებლის მიერ შესყიდვის ობიექტი მიღებულად ჩაითვლება მხოლოდ გაწეული მომსახურების მიღება–ჩაბარების აქტის ფაქტიური დადასტურების შემდეგ.

6.2 ფაქტიურად შესყიდვის ობიექტის დამტკიცებას თვითმმართველი ქალაქ ქუთაისის მერიის შესაბამისი უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულის დადასტურების საფუძველზე ახორციელებს თვითმმართველი ქალაქ ქუთაისის მერი.

7. ანგარიშსწორება

7.1 ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის წერილობითი მომართვის საფუძველზე;

7.2 მიმწოდებლის წერილობით მომართვას ანგარიშსწორების თაობაზე უნდა დაერთოს:

ა) ფაქტიურად გაწეული მომსახურების დასახელება და ღირებულება,

ბ) მომსახურების გაწევის შესაბამისად ამოწერილი **დღგ–ს** ანგარიშფაქტურა ან სასაქონლო ზედნადები.

7.3 გაწეული მომსახურების ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით, ლარებში.

7.4 ანგარიშსწორება განხორციელდება გაწეული მომსახურების დადასტურებიდან 20 (ოცი) სამუშაო დღის განმავლობაში.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

8.1 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

8.2 ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანოზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

8.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

8.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9. სუბკონტრაქტორები

9.1 ,,მიმწოდებელმა" წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბკონტრაქტის შესახებ, თუ ეს უკვე არ არის მითითებული საკონკურსო წინადადებაში.

9.2 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბკონტრაქტის ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს.

9.3 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არცერთი სუბკონტრაქტი არ ათავისუფლებს ,,მიმწოდებელს" ხელშეკრულებით გათვალისწინებული მატერიალური ან სხვა ვალდებულებებისგან.

10. მხარეთა უფლება–მოვალეობები

10.1 შემსყიდველი უფლებამოსილია:

–გასაწევი მომსახურების დასრულებამდე ნებისმიერ დროს მოითხოვოს მიმწოდებლისგან მისთვის საჭირო

ინფორმაცია;
10.2 შემსყიდველი ვალდებულია:
– უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების და პირობების დაცვით;
10.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია:
10.3.1 მოსთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.
10.4 მიმწოდებელი ვალდებულია:
10.4.1 დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები,
10.4.2 განახორციელოს დამუშავებული ტექნიკური დოკუმენტაციის საავტორო ზედამხედველობა.

11. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

11.1 დაუძლეველი ძალის გარდა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები:
– ხელშეკრულების თვითნებურად შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელი გადაიხდის ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის 30 (ოცდაათი) %-ის ოდენობით.
11.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაგვიანებით შესრულებისათვის ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0.1%–ს.
11.3 იმ შემთხვევაში თუ საჯარიმო სანქციების ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3%–ს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.
11.4 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის, მიმწოდებლის დაჯარიმების შემთხვევეაში, შემსყიდველი იტოვებს უფლებას ფაქტიურად გაწეული მომსახურების ასანაზღაურებელი თანხიდან, საჯარიმო სანქციების თანხა პირდაპირ გადარიცხოს არასაგადასახადო ანგარიშსწორების ერთიან ანგარიშზე სახელმწიფო ხაზინაში.
11.5 საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისადმი.

12. ხელშეკრულების შეწყვეტა

12.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.
12.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება დაუყონებლივ უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს გადაწყვეტილების ძალაში შესვლიდან.
12.3 ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

13. დაუძლეველი ძალა

13.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეულ პასუხისმგებლობისგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულებლის შეუძლებლობის შესახებ.
13.2 თუ ერთ–ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყონებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.
13.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

14. სადაო საკითხების გადაწყვეტა

14.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ

შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ;
14.2 თუ ,,შემსყიდველი" და ,,მიმწოდებელი" ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

15. გამოყენებული სამართალი

15.1 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

16. გადასახადები და დაბეგვრა

16.1 ადგილობრივი მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

17. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

17.1 წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება მომსახურების გაწევის ვადის დასრულებიდან ერთი თვის განმავლობაში.
17.2 ხელშეკრულება შედგენილია სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. 1 (ერთი) პირი მიმწოდებელთან და 2 (ორი) პირი შემსყიდველთან.

18. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი: **მიმწოდებელი:**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია
მის: ქ. ქუთაისი, რუსთაველის გამზ. №3
ს.ს ,,ვითიბი ბანკი ჯორჯია"
ქუთაისი ფილიალი
ბ/კოდი: 220101605
ა/ა # 33033303
ს/კოდი: 212721170

ინფორმაცია

ინფორმაცია მიმდინარე წლის (დასრულებული ხელშეკრულებები) და ბოლო სამი წლის (2011, 2012, 2013 წ.წ.) განმავლობაში შესრულებული საპროექტო მომსახურების გამოცდილების შესახებ, რომელიც არ უნდა იყოს საკონკურსო თანხის 150%-ზე ნაკლები

№	მომსახურების დასახელება	შემსყიდველის დასახელება	ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ღირებულება	ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება	ხელშეკრულების დადების თარიღი და №
1.					
2.					

შენიშვნა: ინფორმაციასთან ერთად წარმოდგენილი უნდა იქნას დამადასტურებელი დოკუმენტები (მიღება-ჩაბარების აქტები).

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია	მომზადების თარიღი
N 882013504499 - 17/10/2013 15:33:38	21/10/2013 15:52:33

საკუთრების განყოფილება

მონა	სექტორი	კვარტალი	ნაკვეთი
ქუთაისი	აეროქარხანა		
03	01	22	166

ნაკვეთის საკუთრების გაცა:საკუთრება
ნაკვეთის ფუნქცია: არასასოფლო სამეურნეო
დამუშავებული ფართობი:346.00 კვ.მ.
ნაკვეთის წინა ნომერი:

მისამართი: ქალაქი ქუთაისი , ქუჩა ბუსაიძე , N 6 , -ის სამხრეთით

მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 882013504499 , თარიღი 17/10/2013 15:33:38
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 21/10/2013

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- ბრძანება N1005 , დამოწმების თარიღი:20/08/2013 , ქ.ქუთაისის მერი

მესაკუთრეები:
ქ. ქუთაისის თვითმმართველი ერთეული

ალწერა:
სკვერი

მესაკუთრე:
ქ. ქუთაისის თვითმმართველი ერთეული

იპოთეკა

საგადასახადო გირავნობა:

რეგისტრირებული არ არის

ვალდებულება

ყადაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი:

რეგისტრირებული არ არის

"ფიზიკური პირის მიერ 2 წლამდე ვადით საკუთრებაში არსებული მიგერაციული ანგარიშის რეალიზაციისას, იგივეიგე საგადასახადო წლის განმავლობაში 1000 ლარის ან მეტი ლირებულების ქონების საჩუქრად მიღებისას საშემოსავლო გადასახადად ექვემდებარება საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, რის შესახებაც აღნიშნული ფიზიკური პირი ამავე ვადაში წარუდგენს დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს საგადასახადო სამართალდარღვევას, რაც იწვევს პასუხისმგებლობას საძარცველის საგადასახადო კოდექსის XVIII თავის მიხედვით."

ამონაწერში გვენიკური სარეგის ადმინერის შემთხვევაში, შესაძლებელია სარეგისტრაციო სამსახურში მოსვლის გარეშე, ელექტრონულად წარმოადგინოთ გამოსადეგ: http://public.reestri.gov.ge ან დაგვიკავშირდეთ: 2 405 405; 595 33 71 81; მესაკუთრეული ამონაწერის მიღება შეგიძლიათ ეს ბეჭდვრეზე. ელექტრონულად, ასევე სარეგისტრაციო სამსახურში „ლიბერთი ბანკის" ნებისმიერ ფილიალში ან "პროგაგბანკის" სწრაფი გადახდის ბანკომატიდან.

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
საკადასტრო გეგმა

მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი:	*03 01 22 166*
განცხადების რეგისტრაციის ნომერი:	882013504499
მიწის ნაკვეთის ფართობი:	*346* კვ.მ.
დანიშნულება:	არასასოფლო-სამეურნეო
კატეგორია:	
მომზადების თარიღი:	18.10.2013



შენობა-ნაგებობა, პირობითი ნომერი/სართულიანობა

ვიდეოფიქსაცია

საზღვრისეული ნიშანი

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია
N 882010844905 - 22/10/2010 15:57:35

მოიმზადების თარიღი
28/10/2010 13:57:20

საკუთრების განყოფილება

მონა	სექტორი	კვარტალი	ნაკვეთი
ქუთაისი	მუნიციპ		
03	04	21	055

ნაკვეთის საკუთრების ტიპი:საკუთრება
ნაკვეთის ფუნქცია: არასასოფლო სამეურნეო
დაზუსტებული ფართობი:2852.00 კვ.მ.
ნაკვეთის წინა ნომერი:03.04.01.370;

მისამართი: ქალაქი ქუთაისი , გამზირი რუსთაველი , N116-118 სახლების სამხრეთით

მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 032006007637 , თარიღი 02/10/2006

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- დადგენილება , N401 , გაფორმების თარიღი:03/08/2006 , ქალაქ ქუთაისის საკრებული
- მიმართვა N01-14/540 , დამოწმების თარიღი:02/10/2006 , ქ.ქუთაისის მერი
- მიმართვა N01-6103 , დამოწმების თარიღი:22/10/2010 , ქ. ქუთაისის თვითმმართველი ერთეული

მესაკუთრეები:
ქ. ქუთაისის თვითმმართველი ერთეული

აღწერა:
სკვერი

მესაკუთრე:
ქ. ქუთაისის თვითმმართველი ერთეული

იპოთეკა

საგადასახადო გირავნობა:

რეგისტრირებული არ არის

ვალდებულება

ყადაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი:

რეგისტრირებული არ არის

ფიზიკური პირის მიერ 2 წლამდე ვადით საკუთრებაში არსებული მაგარაჟალური აქციების რეალიზაციისას, აგრეთვე საგადასახადო წლის განმავლობაში 1000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების საჩუქრად მიღებისას სამუშაოსელი გადასახადი გადახდას ექვემდებარება საანგარიში წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, რის შესახებაც აღნიშნული ფიზიკური პირი ამავე ვადაში წარუდგენს დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს საგადასახადო სამართალდარღვევას, რაც იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს საგადასახადო კოდექსის XVIII თავის მიხედვით.

ამონაწერში დეტალური სარგებლის აღმოჩენის შემთხვევაში, შესაძლებელია სარეგისტრაციო სამსახურში მოსვლის გარეშე, ელექტრონულად წარმოადგინო გასაჩივრება: http://public.reestri.gov.ge ან დაგვიკავშირდი: 25 15 27; 895 33 71 81; შესწორებული ამონაწერის მიღება შეგიძლიათ ეს გვერდზე ელექტრონულად, ასევე სარეგისტრაციო სამსახურში ან „ლაბერია ბანკის" ნებისმიერ ფილიალში.

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

საკადასტრო გეგმა

მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი: *03 04 21 055*
განცხადების რეგისტრაციის ნომერი: 882010844905
მიწის ნაკვეთის ფართობი: *2852* კვ.მ.
დანიშნულება: არასასოფლო-სამეურნეო
კატეგორია:
მოქმედების თარიღი: 28.10.10



91/II	შენობა-ნაგებობა, პირობითი ნომერი/სართულიანობა		ვაღლდებულება		ხაზობრივი ნაგებობა
	მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვარი		მშენებარე ნაგებობა	00.0 0.00 UTM	(საერთაშორისო) სისტემის კოორდ.

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია
N 882009334418 - 20/10/2009 13:25:42

მომზადების თარიღი
26/10/2009 11:08:42

საკუთრების განყოფილება

ზონა	სექტორი	კვარტალი	ნაკვეთი
ქუთაისი	მუნეკეში		
03	04	22	047

ნაკვეთის საკუთრების ტიპი:საკუთრება
ნაკვეთის ფუნქცია: არასასოფლო სამეურნეო
დაშუსტებული ფართობი:2242.00 კვ.მ.
ნაკვეთის წინა ნომერი:03.04.02.415;

მისამართი: ქალაქი ქუთაისი , გამჩირი 8. გამსახურდია , და ქუჩა გამარჯვება N1/2 სახლის ჩრდილო-დასავლეთით, გამჩარი გამსახურდია და ქუჩა გამარჯვება გადაკვეთაზე (სკვერი)

მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 032006007814 , თარიღი 09/10/2006

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- მიმართვა N01-14/545 , დამოწმების თარიღი:04/10/2006 , ქალაქ ქუთაისის მთავრობა
- მიმართვა N01-01-49/858 , დამოწმების თარიღი:19/10/2009 , ქ.ქუთაისის მერი
- დადგენილება N401 , დამოწმების თარიღი:03/08/2006 , ქალაქ ქუთაისის საკრებული
- მიწის ნაკვეთის გეგმა შეთანხმებული ქ. ქუთაისის მთავარ არქიტექტორთან

მესაკუთრეები:
ქ. ქუთაისის თვითმმართველი ერთეული

აღწერა:

მესაკუთრე:
ქ. ქუთაისის თვითმმართველი ერთეული

იპოთეკა

საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის უფლება: **არ არის დაგვირთული**

ვალდებულება

ყადაღა: **არ არის რეგისტრირებული**

"ფიზიკური პირის მიერ 2 წლამდე ვადით საკუთრებაში არსებული მაგნერალური ბუნების რეალიზაციისას, აგრეთვე საგადასახადო წლის განმავლობაში 1000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების სანაცვლო მიღებისას სამემისავალი გადასახადი გადახდას ექვემდებარება საანგარიშო წლის მიმდინარი წლის 1 აპრილამდე, რის შესახებაც აღნიშნული ფიზიკური პირი ამავე ვადაში წარუდგენს დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს. აღნიშნული ფიზიკურ/ვალის შეესარულებლობა წარმოადგენს საგადასახადო სამართალდარღვევას, რაც იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს საგადასახადო კოდექსის XVIII თავის მიხედვით."

ამონაწერში ელექტრონული ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში, შესაძლებელია სარეგისტრაციო სამსახურში მოსვლის გარეშე, ელექტრონულად წარმოადგინოთ გასაჩივრება: http://public.reestri.gov.ge ან დაგვიკავშირდეთ: 25 15 27; 895 33 71 81; შესწორებული ამონაწერის მიღება შეგიძლიათ ვებ გვერდზე, ელექტრონულად, ასევე სარეგისტრაციო სამსახურში ან „სახალხო ბანკის" ნებისმიერ ფილიალში.

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
საკადასტრო გეგმა

მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი: *03 04 22 047*
განცხადების რეგისტრაციის ნომერი: 882009334418
მიწის ნაკვეთის ფართობი: *2242* კვ.მ.
დანიშნულება: არასასოფლო-სამეურნეო

ეიმფსადების თარიღი: 21.10.09



შენიშვნა:ნიგებობა, პირობითი ნომერი/საფოფლისარი
მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვარი
ფილდებულება
მშენებარე ნაგებობა
ხაზობრივი ნაგებობა
UTM (საერთაშორისო) სისტემის კოორდ.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო: თბილისი 0102 ზ.ზ. ნოლლოზის№6. მხარის ქ 2 ტელ: (995 32) 91 04 27; ფაქსი: (995 32) 91 03 41
ქუთაისის სარეგისტრაციო სამსახური. ქ.ქუთაისი 4600 სიდ.ეურის მოედანი№ 3ი. ტ(8-231)4-62-55,4-40-38
www.napr.gov.ge